ქალაქ ქუთაისში, სულხან–საბას გამზირი N23 საცხოვრებელი სახლის
N45 ბინაზე, მოქალაქე დავით აბულაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე დავით აბულაძის წარმომადგენლის ლამარა კოსტავას განცხადება /2011 წლის 25.10 Nკ–7669/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სულხან–საბას გამზირი N23 საცხოვრებელი სახლის N45 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ,,კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან–საბას გამზირი N23 საცხოვრებელი სახლის N45 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე დავით აბულაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, სულხან–საბას გამზირი N23 საცხოვრებელი სახლის N45 ბინაზე /საერთო ფართობი 69,47 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 43,93 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,54 კვ.მ./ მოქალაქე დავით აბულაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი — გ.თევდორაძე